

ანოტაცია

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად უფრო და უფრო პრობლემური ხდება გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების საკითხი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კუთხით განსაკუთრებით სახიფათო მაჩვენებელს საწვავის გამონაბოლქვი წარმოადგენს.

ბოლო წლებში განსაკუთრებულმა აუცილებლობამ დღის წესრიგში თავისთავად დააყენა უსაფრთხო და იაფი მომავლის საწვავის შექმნა. რომელიც დაფუძნებულია ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებისა და ციანობაქტერიებისაგან წყალბადის წარმოქმნის მექანიზმზე. ამ დროს გვაქვს იაფი ენერჯის წყარო და წარმოების პროცესიც ეკოლოგიურად სუფთაა. ფოტოსინთეზის დროს ხდება მზის ენერჯის გარდაქმნა მოლეკულურ ენერჯიად, რასაც ახორციელებენ მიკროორგანიზმები. თუმცა ამ მეთოდით წყალბადის დიდი რაოდენობით წარმოებას აფერხებს რამოდენიმე ტექნიკური პრობლემა, რომელთა გადასაჭრელად მიმდინარეობს კვლევები.